წლიწადი მეხუთე.

საქართველოს უწინარეს ყოვლისა

თეთრი გიორგი

ეროვნულ თვისებათა გადაგვარებას ხალხი დაღუპვისაკენ მიჰყავს.
H. de Vraies de Heeklingen.

ეროვნული გაჯანსაღება ყოველთვის მხოლოდ ეროვნულ იდეის გაღრმავების და უაღრეს პატრიოტიზმის შედეგია.

საქართველოც მხოლოდ ამ გზით შესძლებს აღორძინებას და ეს გზა კი თეთრი გიორგული გზაა.

პარიზი. თებერვალი 1930 წელი № 25

ქართველ პატრიოტთა ორგანო თეთრი გიორგი.

Journal de l'Organisation des Patriotes Géorgiens «THETRHI GUIORGUI»

Rédaction : THETHRI GUIORGUI, 11, Porte Champerret, Paris - XVII

Paris Février 1930 № 25

ფასი 2 ფრანკი

* * *

ზოგიერთი ამტკიცებს: თეთრი გიორგი დემოკრატიის მოწინააღმდეგე იმიტომაა, რომ ხალხის უფლებები არა სწამს. ასე ჰგონიათ მათ ვინც არ იციან რა არის დემოკრატიზმი, ან ხალხის უფლებები, ან კანონი და სახელმწიფო და არა სურთ გაიგონ რას წარმოადგენს თეთრი გიორგი; ასე ჰგონიათ მათ ვისი გონება შებორკილია ყოველნაირი ყალბი თეორიებით და საზოგადოების არსებობა დემოკრატიის გარეშე ვეღარ წარმოუდგენიათ.

მე 19 ს. დასაწყისში ერთ მეცნიერს მოახსენეს, ინგლისში ორთქმავალი გამოიგონესო. მეცნიერმა დიდათ იწყინა ეს «შეუსაბამო ჭორი» და უპასუხა: «ვის ატყუებთ? ამისთანა რაიმე ყოვლად შეუძლებელიაო». ესევე ემართებათ ჩვენს დემოკრატებს. შეზღუდულ გონების კაცს იდეა კი არა სწამს, არამედ ეშინება მას. ამიტომ ძნელია იდეის მონას რაიმე დაუმტკიცო. მისთვის არგუმენტი არ არსებობს. ამიტომ, როდესაც ვწერთ, ჩვენ მხედველობაში ფანატიკოსი პარტიული ბელადები კი არა გვყავს, არამედ ქართველი ხალხი საერთოდ.

თეთრი გიორგი დემოკრატიზმის მოწინააღმდეგე, სხვათა შორის, იმიტომაა, რომ დემოკრატიზმმა ვერც ერთი თავისი დებულება ვერ განახორციელა: ვერც ხალხის სუვერენიტეტი, ვერც თანასწორობა, ვერც ერთობა და ვერც თავისუფლება. მის ხელში ყოველივე ეს ფიქციათ იქცა. ცარცა ქაღალდზედ დაწერილი. თეორიის ჩარჩოებს ვერ გასცილდა. ცხოვრების სინამდვილეში მოხდა წინააღმდეგი: გამეფდა ფული, დემაგოგია, პოლიტიკური პარტიები.

თეთრი გიორგი იმიტომაა ეროვნულ სახელმწიფოს მომხრე, რომ მხოლოდ მას შეუძლიან მიანიჭოს ხალხს უფლებები, თავისუფლებაც, სუვერენიტეტიც და თანასწორობაც რეალურად დაამყაროს.

დემოკრატიული სახელმწიფო ანარქიული სახელმწიფოა. ის ხასიათდება უორგანიზაციოგით. ამიტომ მის წიაღში ბატონობს ის, ვისაც მეტი ძალა აქვს. ძალმომრეობის წყობილებაში კი გავლენა და ძალა ეკუთვნის ფულს.

თანასწორობის, თავისუფლების განხორციელება საჭიროებს განსაზღვრულ სოციალურ პოლიტიკურ ორგანიზაციათა მთელ რიგს. მხოლოდ ამ ორგანიზაციათა საშუალებით შესაძლებელია გამოირკვეს ხალხის რეალურ ინტერესების, მის აზრის და მისწრაფებების. მხოლოდ ამავე ორგანიზაციათა საშუალებით შესაძლოა ხალხის სუვერენიტეტის კონკრეტიზაცია, გამომჟღავნება.*) ხოლო დემოკრატიულ რეჟიმში ყოველივე ეს გამოურკვეველია, ბუნდოვანია. დემოკრატიულმა წყობილებამ შექმნა ძალის და ფულის ბატონობა. რაც შეეხება სოციალიზმს, მან ყველგან შეიტანა მხოლოდ სიმშილი, კლასთა ბრძოლა და ცივილიზაციის ნგრევა. მისი დამყარების უბრალო ცდასაც კი ყველგან ერთი და იგივე დამანგრეველი შედეგი მოჰყვა.

განსაკუთრებით ჩვენი ქვეყანა დაღუპა სოციალიზმმა და დემოკრატიულმა ჩხირკედელაობამ და უსაშინელეს მტერს ჩაუგდო ხელში.

თეთრი გიორგი მოწინააღმდეგეა სოციალიზმისა, რადგან ეს წმინდათ განყენებული, უტოპიური იდეაა. ამასთან მავნე, ვინაიდან მან ვერც ერთ ქვეყანაში ვერავითარი დადებითი ნაყოფი ვერ გამოიღო.

ჩვენ გვინდა საქართველო აღორძინდეს, გაძლიერდეს, განათლების და მოდერნიზმის გზაზე დადგეს; ევროპიულ სახელმწიფოთა ოჯახში საპატიო ადგილი დაიჭიროს. ამიტომ აუცილებელია საქართველოს შემადგენელ ყველა ელემენტთა სოლიდარული თანამშრომლობა, შეთანხმება, ეროვნულ ყველა ენერგიათა ჰარმონიული დაჭიმვა; საჭიროა განსაზღვრულ ეროვნულ მიზანთა დასახვა და მათკენ მიმავალ გზების გამოკვლევა; ამ გზებზე ქართველთა მიერ სოლიდარულად და შეთანხმებით დადგომა. მაგრამ ეს შეთანხმება და თანამშრომლობა შესაძლებელია მხოლოდ თანასწორობის და კანონიერების ნიადაგზე. ამ მიზნების მისაღწევად, სავსებით მხოლოდ ეროვნული სახელმწიფოა შეიარაღებული. ეროვნულ სახელმწიფოს მიზანია შინაგან და გარეშე მშვიდობიანობის დაცვა. კლასთა ბრძოლით მოცული სახელმწიფო ვერც შინაგან და ვერც გარეშე მშვიდობიანობის ფაქტორად ვერ გახდება. ამის მაგალითი რუსეთია. როდესაც მენშევიკები ლამობენ ჩვენში კლასთა ბრძოლა გააჩაღონ (იხ. ჟორდანიას რუსული წიგნაკი: «ჩვენი უთანხმოებანი») მათ სურთ საქართველო შიგნითაც დაანგრიონ და გარეშე ომებიც გაჩვიონ.

თეთრი გიორგი იმიტომ იცავს ეროვნულ სახელმწიფოს პრინციპს, რომ ის უფრო ხალხურია, ხალხზეა დამყარებული და უფრო ემსახურება ერის ინტერესებს, ვიდრე რომელიმე სხვა პოლიტ. სისტემა.

---

*) ამის შესახებ იხილეთ, წიგნაკი: «თეთრი გიორგი და მუშათა საკითხი» და გაზ. თ. გ. იანვრის N 24 ში წერილი **«რეალური წარმომადგენლობა».**

ზოგსა სურს ეროვნულ სახელმწიფოს «ახალი დემოკრატიზმი» (ან ახალი დემოკრატია) უწოდოს. რატომ არა. საქმე ფაქტორთა შინაარსშია და არა სახელწოდებაში.

დამოუკიდებლობა.

ჩვენ ვამბობთ და ჩვენ გვრწამს: ერის ბედნიერება... საქართველოს დიდება... იაპონიის ნაბიჯით წინსვლა... ქართული კულტურის აყვავება... ქართველი ერი უშუალო მონაწილე მსოფლიო კულტურისა.. ახალი რუსთველი... ახალი ოქროს ხანა...

ეს არ არის მხატვე ოცნება. ეს არ არის მსუბუქი ბურუსი ბავშვურ სურვილისა. ეს არის ეროვნული სხეულის მძლავრი მოთხოვნილება, ეს სულიერ სიმშვიდის აუცილებელი წყაროა.

ატავისტური ძალა ძლევამოსილ წარსულისა მოქმედებს... მარტვილი დიდი სისხლი წინაპართა... მკლავებში გმირთა კალატოზის ძალ-ღონე .. და თვალწინ მადლიერი ღიმილი გაბედნიერებულ ერისა...

მაგრამ ატავისტურ მოძრავ ძალის მატარებელში ცოცხლობს მაინც მონობის შვილი: პატარა კაცუნა...

ეროვნული საკითხი სდგას მარტივად: ან გაიმარჯვებს ძველი და მუდამ ახალი სიამაყე ქართული დიდებისა, ან დასძლევს პატარა კაცუნას პაწაწინა ვნება.

საქართველოს მონობის დროს ძველი ბელადები, სიბრმით აღსავსენი, გამოდიან და გვეუბნებიან: «ჩვენ გვაქვს ს-ერთი მიზანი ეს არის საქართველოს დამოუკიდებლობა». რუსეთის რევოლუციის მიტინგებზე ნასწავლი გვემუქრებიან: «ვინც ჩვენთან არ არის საქართველოს მოღალატეაო». მათში ლაპარაკობს პატარა კაცუნა, უსუსური აზრი, დამარცხებულის ფსიქოლოგია. დამარცხებულის მილეული ოცნება მოეს ნგრეულ წინადადებას... და დაღლილი ტვინი, ერთმანეთის ქიშპობაში დაქანცული, უიდეალო, შინაგან ბრძოლაში დაღლილი ჩემულობს ყიჟინით: «დამოუკიდებლობაო».

რა არის ეს «დამოუკიდებლობა»? რომელი დამოუკიდებლობა?

«დამოუკიდებლობა»— ეს ჯადოსნური სიტყვა, ეს უჩინმაჩინი ვუცეთათვის, ეს ქართულ საზოგადოებრივ დამინებულ აზრის უებარი მალამო, — რა საზღაპრო საშუალებაა დაუმთავრებელ მეფობისათვის ყველგან დამარცხებული პოლიტიკოსისა!!

გამოღვიძებული, გამოფხიზლებული საზოგადოებრივი აზროვნება მოითხოვს თეთრი გიორგის პირით ამ ჯადოსნობის მოხსნას, ამ ლურსმულ წარწერის განმარტებას.

რას ნიშნავს ეს მათი დამოუკიდებლობა?! ჩვენ ვამბობთ: ეროვნული მიზანი მხოლოდ დამოუკიდებლობით არ კმაყოფილდება. ერის იურიდიული დამოუკიდებლობა არის მხოლოდ ერთი პირობა სხვა უამრავ პირობათა შორის ეროვნულ კეთილდღეობისათვის... (დღეს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას» ჰყავს ელჩი პარიზში და ცნობილია იურიდიულად— და მერე რა!? დღესვე «საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკა» იურიდიულად დამოუკიდებელი ერთეულია საერთაშორისო უფლების თვალსაზრისით და მერე რა!?) თუ ერის ბედნიერება თხოულობს დამოუკიდებლობას, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ რეალური, ეფექტიური, ნამდვილი (და არა მხოლოდ იურიდიული) დამოუკიდებლობა აუცილებელია ეროვნულ იდეალის განსახორციელებლად... მაშასადამე ეროვნული მიზანი არის დამოუკიდებლობის საშუალებით ეროვნულ იდეალის განხორციელება. ქართველი ერი თავის მრავალ საუკუნოვან ისტორიის განმავლობაში მუდამ იბრძოდა თავის ეროვნულ იდეალისათვის. ქართველი ერის ამამოძრავებელი ძალა მხოლოდ და მხოლოდ ეროვნული იდეალია.

ახლა რა თავისებურ «იდეალს» მალავენ ძველი ბელადები თავიანთ «დამოუკიდებლობის» ქვეშ? ვინ იცის?! ვინ იცის რას ნიშნავს მათი «დამოუკიდებლობა»? ნუ თუ ისინი ფიქრობენ, რომ ახალთაობა დაკმაყოფილდება ამ ცარიელ, უშინაარსო სიტყვით? თუ ისინი ფიქრობენ, რომ ქართველი ერის იდეალია სამარცხვინო სამი წლის მენშევიკურ დიქტატურის ხანა, მაშ რისთვის მალავენ, ვ ს ატყუებენ? თუ ჩვენი ძველი ბელადები «რესტავრატორები» არიან, უნდა სთქვან თამამად, რომ სამარცხვინო დამარცხების ხელახლა განმეორება არის მათი დამაკმაყოფილებელი მიზანი. თუ ასეა გასაგებია რისთვისაც დამარცხების რესტავრაციის მომხრეებს, რესტავრატორებს ქართველი ერის უბედურობისა არ უნდათ ჩვენთან ერთად შეჰქმნან იმნაირი პოლიტიკური სისტემა და ორგანიზაცია, რომელიც ჩვენი ხალხის ძალას და ენერგიას კი არ დაანაწილებს და დაჰყოფს მოწინააღმდეგე ბანაკებად, არამედ შეჰკრებს და შეჰკრავს ერთ მთლიან ეროვნულ ენერგიათ და მიმართავს მას განსაზღვრულ **და მკაფიოდ დასმულ ეროვნულ იდეალისაკენ.**

თეთრი გიორგის აქვს ნათლად წარმოდგენილი საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობა: სოლიდარობა ერის წიაღში, კეთილდღეობა ეროვნულ ოჯახში და ქართული გენიის ბრწყინვალება საერთაშორისო წიაღში. ამ დიდებულ მიზნის მისაღწევად აუცილებელია საყოველთაო პატრიოტიზმი. (ინტეგრალური ნაციონალიზმი), რომლის გამავრცელებელია თეთრი გიორგის მოძრაობა.

სხვა და სხვა პარტიათა და შეჯგუფებათა ძველი ბელადები არ ემებენ ეროვნულ იდეალს. მათ არ ესმით ეროვნულ იდეის შინაარსი. შეგუების პოლიტიკის ძებნაში გაწოლის პოლიტიკის აღმსრულებელნი, მათი მთელი ძალაა «დამოუკიდებლობის» სიცარიელე. ცარიელ «დამოუკიდებლობის» დამცველებს ესიზმრება საქართველო ხან «სოციალიზმის სამეფოთ» კ. მარქსის აჩრდილსავით, ხან «დემოკრატიზმის სამოთხეთ» ჟ.ჟ. რუსოს ლანდივით.

«სიზმრად ვნახე საქართველო სისხლის ზღვაში ბანაობდა...» და ვაი თუ მათი ცარიელი დამოუკიდებლობა შეივსება სისხლის ტალღებით მექსიკის დამოუკიდებლობისამებრ ან იქნება ვენეცუელის დამოუკიდებლობის სამოქალაქო ომის მოედანი, ან ჩინეთის «იმპერიის» ეპილოგა, ან კიდევ განახლებული ექსპერიმენტი სოციალისტურ ედემისა?!. სრულყველაფერი მოსალოდნელია, ვინაიდან, სად არის მათი იდეოლოგია? სად არის მათი ეხმა მომავალ სახელმწიფოს მმართველობისა? სად არის მათი აქტები? რა გააკეთეს ამ 9 წლის განმავლობაში? დაბერდა ჩვენი ძველი ბელადი ამ 9 წლის განმავლობაში და «მზეს უყურებს რიდის ჩავალ». ჩვენი სურვილია გამოფხიზლდეს, ვისაც კიდევ შეუძლია, ცარიელ «დამოუ იდებლობის» ნარკოზიდან.

ჩვენ ვამბობთ: ქართველი ერის გაერთიანება, მისი გამარჯვებისათვის შესაძლებელია მხოლოდ ეროვნულ საყოველთაო იდეალით, ეროვნულ ემბლემის ქვეშ.

ჩვენ ვამბობთ: ბელადთა მიზანი უნდა იყოს ნათელი და მკაფიოდ დასმული. ახალგაზრდობა იჭვის თვალით უყურებს ფარდას, რომლის ზედაც ძველი ბელადი კრძალვით და მოკანკალე ხელით იეროგლიფისამებრ სწერს «დამოუკიდებლობას».

ჩვენ ვიცით, რომ თეთრი გიორგისთან, ახალთაობასთან, მომავალ საქართველოსთან არ იქნება ის, ვისაც უნდა საქართველოს «დამოუკიდებლობა» რაღაცა ბნელ მიზნებისათვის. ვისაც უნდა საქართველოს «დამოუკიდებლობა» საცდელ ექსპერიმენტებისათვის, ან რომელიმე კლასის ან ჯგუფის გაბატონებისათვის, ან პირადულ პაწაწინა ამბიციის მისაღწევად ან რომელიმე ინტერნაციონალისათვის ხალხის დასაპყრობად —ყველა ასეთი მოღალატეა ქართველი ერისა. ქართველი ერი თვითონ არის ბატონ-პატრონი საქართველოს მიწა წყლისა და იბრძვის თავის საკუთარ დამოუკიდებელ იდეალისათვის.

რისთვის ართულებენ ძველი ბელადები საქართველოს ისედაც რთულ მდგომარეობას? რა აზრით აწყობენ ორპირ ინტრიგებს და ასუსტებენ ქართველთა ისედაც სუსტ ძალებს? ვ ხი ჩაგონებით სჩადიან ამას: რომელი გიროტი სულის საიდუმლო ბრძანებით? მათი «შეგუების პოლიტიკის ცივი გონება» სჭრის ხან იმდენად ხან ამდენად. ოჰ, ეს მქადაგებლები «ცივ გონებისა», რომელთ აზროვნება მთლად გაყინა რუსეთის ცივმა ჰაერმა, ან რუსულ ბრომურათა წვეთიადმა. თუ ეს აღზრდის ბრალია, მიმართე რომელიმე ქართველ ისტორიკოსს, მწერალს ან პოეტს, რომელიც გეტყვის, რა უნდა ქმნა «ჩრდილოეთის ცივი ჰავა თუ ჩაგიქროვს გულში ალსა», ან მიმართე ფრანგ პოლიტიკოსის ესხოვნას, რომელმაც განმარტა: «უსაშინელესი ჭირი სულისა გაცივებაა მისი». თუ ეს მონოგამი გაყინულ აღზრდის ბრალი კი არ არის, არამედ ვნებითი ალი გაცრუებულ პირადულ ამბიციებისა, მაშ ჩააქრეთ ეს გოროტი ცეცხლი ეგოიზმისა. ახალთაობას უნდა სწამდეს, რომ ძველებშიაც ცოცხლობს კიდევ ატავისტური ნაპერწკალი ქართველ ერის იდეალისა, ქართველი ერის დიდებისა. საერთო ძალებით უნდა გავაჩუმოთ უსუსური პატარა კაცუნა, რომელიც გაჰკივის ცარიელ «დამოუკიდებლობას», თავიდან მოვიშოროთ სხვისი «იდეები» და «იდეალები» და გავხდეთ ღირსეული ჰეომრები ეროვნულ ლაშქრისა, ეროვნულ ბრძოლაში, ეროვნულ იდეალისათვის.

თუ ძველებმა ეს ვერ შესძლეს საქმე ეკუთვნის ახალთაობას.

გ. საფარელი.

მარტივი საუბარი.

ისპანიის დიქტატორი გადადგა. დიქტატურა ყოველთვის დროებითია. ის განსაკუთრებული პირობებითაა ხოლმე გამოწვეული და ამიტომ მისი ფორმაც განსაკუთრებულია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიქტატურათა ორი უმთავრესი კატეგორია არსებობს: კლასობრივი და ეროვნული. კლასობრივი დიქტატურა ემსახურება მხოლოდ განსაზღვრულ კლასის ინტერესებს და ახორციელებს მის ბატონობას ერის შემადგენელ დანარჩენ ელემენტებზე. მაშასადამე თვით ერზედაც. ის ყოველთვის და ყველგან ძალადობის და სისხლის ღვრის შედეგათ მყარდება. ამიტომ მისი არსებობა ყოველგვარ უფლებრივ ნიადაგსაა მოკლებული.

კლასობრივ დიქტატურის როლი ყოველთვის დამანგრეველია. ეს დიქტატურა საზოგადოების საბოლოო დარღვევის მაჩვენებელია და ამ დარღვევის უდიდესი ფაქტორი. კლასობრივ დიქტატურის და მის დამღუპველ შედეგების საკმარისი მაგალითები, თანამედროვე ხანაში, რუსეთში ბოლშევიკების დიქტატურაა და საქართველოში მენშევიკებისა იყო.

სულ სხვაა ეროვნული დიქტატურა. ეს უკანასკნელი ერს განსაცდელის და კრიზისების მომენტებში მოევლინება ხოლმე. მას ყოველთვის ერის საერთო სურვილი მოუწოდებს ხოლმე და მისი იურიდიული ფუძე სწორეთ ეს საერთო სურვილია. ამიტომ ეროვნული დიქტატურა ყოველთვის უმტკივნეულოდ, სისხლ დაუღვრელად მყარდება ხოლმე. ის ხელმძღვანელობს ერის საერთო ინტერესებით. მისი მიზანია, ერის განსაცდელიდან გამოყვანა და მის ცხოვრების ნორმალურ კალაპოტში ჩაყენება. ისტორიაში ეროვნულ დიქტატურის მაგალითები მრავალია. რომში ხომ ეს დაკანონებულიც იყო: ომის და განსაცდელის დროს დიქტატორი კანონის მიერ ინიშნებოდა. დიდი მაგალითები არიან: ათინაში პიზისტრატი და პერიკლესი, რომში იულიუს კეისარი და დღეს მუსოლინი და პილსუცკი. ყოველმა მათგანმა თავის დროზედ იხსნა ერი უსაშინელეს განსაცდელისაგან და ქვეყნის პოლიტიკურ-სოციალურ ორგანიზაციაში საჭირო განახლება, რეფორმები შეიტანა.

დიქტატორთა ამ კატეგორიას ეკუთვნის ღენერალი პრიმო დე რივერა. ამ ექვსი წლის წინეთ ისპანია უკიდურეს ანარქიით იყო მოცული: მისი პოლიტიკურ-სოციალური აპარატი სავსებით მოშლილი იყო; კიდევ ცოტა და სახელმწიფოს საჭეს ბოლშევიკები დაეპატრონებოდნენ. დაძველებული და გადაგვარებული პარლამენტარიზმი არამთუ უძლური გამოდგა კარსედ მომდგარი კატასტროფის წინაშე არამედ, ხელსაც კი უწყობდა მას. ამ უკიდურეს განსაცდელის მომენტში, ღენერალი პრიმო დე რივერა, მხოლოდ ორი ოფიცრით მივიდა მადრიდში და ძალაუფლება ჩაიბარა. არც ერთი თოფი არ გავარდნილა, არც ერთი წვეთი სისხლი არ დაღვრილა. ისევე როგორც მუსოლინიმ დაიპყრო რომი. რატომ? იმიტომ, რომ რივერას დიქტატურა უპასუხებდა ერის საერთო ინტერესს და საერთო სურვილს. ისტორიული მომენტი საჭიროებდა ამ დიქტატურას. რივერას სამნაირი მიზანი უნდა განეხორციელებინა: 1) მოესპო ანარქია და დაემყარებინა წესიერება; 2) განეხორციელებინა სოციალურ აღმშენებლობის მთელი გეგმა; 3) პარლამენტარულ-დემოკრატიულ დახავსებულ სისტემაში საჭირო რეფორმები შეეტანა.

მან მიაღწია ძალიან ბევრს. ბოლშევიზმი ალაგმა და მოქალაქეთა სიცოცხლე უზრუნველ ჰყო. არ უნდა დავივიწყოთ, რომ მთელი ორი წლის განმავლობაში ანარქისტ-სოციალისტ-კომუნისტები საშინელ ტერორს აწარმოებდნენ და ყოველ დღიურად ათობით მოქალაქეთ ჟლეტდნენ და ერთმანეთსაც ხოცავდნენ. ყოველივე ეს რივერამ მოსპო.

სოციალურ დარგში დიდი საქმენი განახორციელა; გაიყვანა ახალი გზები და რკინის გზები, გააღო 3000-ზე მეტი სკოლა, ააშენა ახალი სავაჭრო ფლოტი, დიდი წარმატება მისცა მეურნეობას და წარმოებას. უდიდესი სამსახური ისპანიას მაროკოს ომის ლიკვიდაციით გაუწია. დაძველებულ პოლიტიკურ წყობილებაში შეიტანა უდიდესი რეფორმა: კორპორაციათა სისტემა, ე.ი. შრომის ორგანიზაცია სახელმწიფოს ატრიბუტათ გამოაცხადა და ჰყო.

და დღეს, როდესაც მის მოადგილეს ჰკითხეს რას უპირებთ რივერას მიერ დაწყობილ სოციალურ აღმშენებლობას და პოლიტიკურ წყობილებაში შეტანილ რეფორმებსაო, მან უპასუხა: აღმაშენებლობის საქმე უსათუოთ უნდა განვაგრძოთ; რაც შეეხება კორპორატიულ სისტემას ის ისეთი ჩინებული რამეა, რომ მისი გაუქმება ყოვლად შეუძლებელიაო. ამნაირად პარლამენტარულ დემოკრატიული წყობილება ძველი სახით ვეღარ აღსდგება. მასში საჭირო რეფორმა უკვე შეტანილია ეროვნულ დიქტატურის ხელით. ბოლშევიკების კლასობრივი დიქტატურა დაეცემა სისხლის ღვრით და ძალადობით ისევე როგორც გაბატონდა და თავის შემდეგ დასტოვებს საშინელ კვალს სისხლისა, ბარბაროსობისა, ზნეობრივ გახრწნილების და გონებრივ გადაგვარების.

გადადგა რივერას ეროვნული დიქტატურა ისევე მშვიდობიანათ როგორც დამყარდა და დასტოვა კვალი აღმაშენებლობის, ზნეობრივ გაჯანსაღების და დაძველებულ წყობილებაში საჭირო პოლიტიკურ-სოციალურ რეფორმების. ასეთია ყოველთვის და ყველგან ეროვნულ დიქტატურის შედეგი. მაგალითები მრავალია, მაგრამ საკმარისია ორი: I) პიზისტრატის მიერ აგებული ტეზეეს ტაძარი; 2) პერიკლესის მიერ აშენებული აკროპოლი თავისი მინერვის და პართენონის ტაძრებით. აქ არ ვეხები ამ ორი დიქტატურის სოციალურ-პოლიტიკურ რეფორმებს, რომლებიც ათინის სახელმწიფოს ნამდვილი ხერხემალია. აი ბატონებო რა განსხვავებაა კლასობრივ და ეროვნულ დიქტატურათა შორის.

ქართველი პოეტების დინასტია.

პოეტები საქართველოს მეუფებდნენ წინათ,
ეს მეორე ნინოს-ჯვარი რომ გადაერჩინათ.

და უნაზეს ბედის განძი მტრებს რომ არ ეფლანგათ,
გამოთალეს ჩვენი სული მარმარილოს ჩანგათ.

ზედ დასწერეს: „სილამაზე, ლექსი და ოცნება,
ასეთია უკვდავების საიდუმლოს მცნება“.

პოეტს ჩვენში თუ-კი უნდა, თუ-კი მოინდომებს,
ლექსის ეშხით ხალხს დარაზმავს და მთებს აიომებს.

გადიქცევა თავის ერის აბორგებულ ლანდათ,
სევდის ძეგლებს გადააფრქვევს მღიმარ ბრილიანტათ.

ზღაპრულ კოშკებს დაურიგებს თავის რითმის მონებს,
ან თუ უნდა, დავიწყებულ ამბავს მოიგონებს:

ტბას დაუშრობს კოცნით ტალღებს, მანძილს გადალახავს,
და ტბის ძირას— ახალ ქვეყნის ოქროს აკვანს ნახავს.

აჰ, იმ აკვანს, საგანგებოთ, გულს მიუჩენს ბინათ,
და შეაღებს ბედის კარებს, ვით დიდი ხნის წინათ.

ვენა. 1929 ა. ხ.

***

მენშევიკურ პარტიის ზნეობრივ ღირებულებაზედ მრავალი საქმენი მათნი ღაღადებენ. აქ, ნიმუშათ, ერთი მაგალითი მომყავს. 1927-28 წლებში, მათივე თხოვნით, ბატონ ჟორდანიასთან და რამიშვილთან ვთანამშრომლობდი მეტად მნიშვნელოვან საქმეებში. ეს საქმენი იმისთანა ფაქიზი ხასიათისა იყო, რომ ჩემი მასში გარევა ყოვლად შეუძლებელი იყო, მთავრობას რომ ჩემდამი განუსაზღვრელი ნდობა არა ჰქონოდა. რა თქმა უნდა აქ, ამ საიდუმლოების შინაარს არ ვეხები. მე მას არ გავამხელ არავითარ შემთხვევაში. ამას მოითხოვს ელემენტარული შეგნება სინიდისზედ.

მე მხოლოდ მინდა ვსთქვა, რომ იმ დროს როდესაც ჩემთან ესე შეხმატკბილებულად თანამშრომლობდნენ ბ-ნი რამიშვილი საქართველოში სწერდა ჩუმ წერილს, რომელშიც ქართველ ხალხის და პარტიების წინაშე მასმენდა როგორც საეჭვო პიროვნებას, ბოლშევიკების აგენტს და სხვა. ამასთანავე თავის აგენტებს ბრძანებას აძლევდნენ კერესელიძეს საქართველოში ყოველნაირად სახელი გაუტეხეთო. ჩემთან ერთად სხვა ცნობილ-მამულიშვილებსაც როგორც მ. წერეთელს, ღენ. კვინიტაძეს და ქ. ჩოლოყაშვილსაც იმავე ცილსა სწამებდა. როდესაც ეს საზიზღარი წერილი გამოქვეყნდა და რამიშვილს ჰკითხეს: როგორ იკადრეთ იმავე დროს, როდესაც კერესელიძესთან თანამშრომლობდით მას ცილსა სწამებდითო, მან განაცხადა: „მე ეს პარტიული მოსაზრებით ვქენი და გარდა მაგისა ჩემი წერილი დავწერე სანამ კერესელიძესთან თანამშრომლობას დავიწყებდიო“. ძალიან თავის გამართლებაა თქვენმა მზემ. პარტიულ მოსაზრებით ცილის წამება! დიახ, ესეთია მენშევიზმის მორალი! განა იმავე პარტიულ მოსაზრებით ცოტა ქართველი მოჰკლეს და პროფესიონალურ კაცის მკვლელთა მთელი კადრი არ შეჰქმნეს? ცილის წამება პარტიულ მოსაზრებით! მაგრამ მე რა მეთქმის? თვით დიდ ილიას არ დასწამეს ცილი და სოც. დემ. პარტიულმა ორგანომ, საჯაროთ, მას კაცის მკვლელობა და ათასი სისაზიზღრე არ დასწამა? და განა დღევანდელი მენშევიკები ისევ ის, წინანდელი მენშევიკები არ არიან?

უნდა მოგახსენოთ, რომ ვითომ რამიშვილს თავისი ცილის წამება ჩემთან თანამშრომლობამდე მოეჭოროს, სავსებით ტყუილია, რამიშვილური ტყუილი! მან ეს წერილი ჩემთან თანამშრომლობის დროს დასწერა. მაშინ როდესაც პირში მეღიმებოდა, როცა ჩემთან ერთად სხდომებზედ ბრძანდებოდა, ჩემთან ერთად აწყობდა გეგმებს, იყო მისვლა-მოსვლაში, მიწერ-მოწერაში.

თუ მას სურს, ყოველივე ამას არბიტრაჟულ სასამართლოში დაუმტკიცებ.

მაგრამ, დაუშვათ ერთი წუთით, რომ რამიშვილი ერთხელ მაინც (შემთხვევით) მართალს ამბობს და მან ეს წერილი 1927 წელზედ ადრე დასწერა. მაინც თავს ვერ იმართლებს. აი რატომ: საზოგადოებამ არ იცის, რომ ჩემთან საიდუმლო საქმეებზედ თანამშრომლობა ბატონმა ჟორდანიამ და რამიშვილმა 1927 წ. კი არ დაიწყეს, არამედ 1924 წელს. საქართველოს აჯანყების დროს მე მათ მანდეს საქმე უდიდესი მნიშვნელობის და საიდუმლოების. ეს საქმე მე სავსებით გავაკეთე. მაგრამ, ბატონმა რამიშვილმა თავისი ჩვეულებისამებრ ის უცხოელნი, რომლებთანაც კავშირი გვქონდა, სავსებით მოატყუა და საქმე წაახდინა. ვიმეორებ ყოველივე ამას ბატონ რამიშვილს საბუთებით და მოწმეებით დაუმტკიცებ, როდესაც სურს. ამნაირად მისი წერილი დაწერილი იყო ჩემთან თანამშრომლობის დროს. აი ბატონებო მენშევიკური ზნეობა.

ყოველივე ამას ვწერ სოც. დემ. იმ ახალგაზრდობის საყურადღებოთ, რომელთ პატრიოტული ღრმა გრძნობა აქვთ, რომელთ სწამთ საქართველო. საჭიროა იცოდნენ მათ, რომ სამშობლოს ხსნა, მისი ბედნიერება, მისი აღორძინება შესაძლებელია მხოლოდ რაინდულ პატიოსნების გზით და არა მკვლელობით, ზიზღით, კაენობით, დაბეზღებით, ცილის წამებით, ერთი სიტყვით ყოველივე მით, რაც წარმოადგენს მენშევიზმის ზნეობრივ შინაარს. სოც. დემ. ახალგაზრდობამ უნდა გაინთავისუფლოს თავი ამ საშინელ ჭაობიდან და დაადგეს დიად, უზენაეს ინტეგრალურ პატრიოტიზმის გზას. ეროვნულ გაჯანსაღების ერთადერთ ლოდ პატრიოტული გზაა.

***

მკითხველები შეამჩნევდნენ, რომ რამიშვილის „კომბინაციაში“ ე.ი. „ბრძოლის ხმაში“ წერილები ანონიმურია და მათ ავტორები ხელს არ აწერენ. იქნებ ვისმეს ეგონოს რომ ავტორებს რცხვენიათ თავის სისაზიზღრეებს ხელი მოაწერონ? არა, ბატონებო, მენშევიკებმა პოლიტიკურად სირცხვილი დიდი ხანია სავსებით დაჰკარგეს. მგონია არც როდისმე ჰქონიათ. განა ეს ვაჟბატონები მ. ცხაკაიას აღზრდილნი არ არიან? საქმე სულ სხვაშია. „ბრძოლის ხმის“ წერილებს ხელი მოწერილი რომ ჰქონდეს ყველასათვის აშკარა გახდება, რომ მენშევიკების ბანაკში საშინელი განხეთქილებაა, რათგან გამოჩნდება, რომ ერთნი სწერენ „ბრძოლის ხმაში“ და მეორენი კი ბოიკოტს უცხადებენ. მაგრამ ტყუილს მოკლე ფეხები აბია: ბატონი რამიშვილი ვერც ი.წერეთელს მოატყუილებს იმითი, რომ ვითომ ის ახალ გზას დაადგა, ვერც საზოგადოებას მით, რომ ანონიმურ წერილებს ბეჭდავს. „არ გაგივიდა თარხანო სულ მუდამ შენი ტყუილი“.

ლეო კერესელიძე.

***

ტურფა სამშობლოვ ტყვე საქართველოვ,
მშვიდობით, წასვლის ჩამოჰკრეს ზარი,
შენი მზე აწი ვეღარ გაგვათბობს
რუსი გვასახლებს გველის ზამთარი.

მშვიდობით დედავ, მშვიდობით ძმებო,
და შენც მშვიდობით ციხეე მეტეხო,
შენც საქართველოს ხმელეთ-ზურმუხტო
და ცა ფირუზო, ელვა და მეხო.

ციხის უფროსო, ჩამოჰკარ ზარებს
და გადაეცი იმ არამზადებს,
რომ საქართველოს თეთრი გიორგი
თავის შუბს ლესავს პასუხს ამზადებს.

ეს ხალხური ლექსი თეთრი გიორგიზე, რომელსაც მღერიან საქართველოში, ჩაწერილია ბ. ვ. ტოგონიძის მიერ,

„ბრძოლის ხმა“ თუ ბრძოლის ღალატი?

„საბჭოთა რეჟიმი, ე.ი. დასუსტებული რუსეთი, მისაღებია განაპირა სახელმწიფოებისათვის, როგორც მომცემი მეტი გარანტიის არსებული საზღვრებისათვის. სამაგიეროთ ეს რეჟიმი სრულიად მიუღებელია თვით რუსის და არა რუსის ხალხებისათვის საბჭოთა კავშირის და სწორედ აქედან იწყობა ომის და ზავის საკითხის გართულება“.

ამ სიტყვებით ქართველი მენშევიკური პარტიის „ბრძოლის ხმა“ მიმართავს მეორე ინტერნაციონალს ბოლშევიზმის წინააღმდეგ იერიშის მისატანად...(*)

ეს „ხმა“ განაგრძობს: „რუსეთის ეკონომიური განვითარება ბუნებრივი აუცილებლობით მოითხოვს საბჭოთა სისტემის დაშლას და მის ალაგას ახალი პოლიტიკური სისტემის აგებას —აი ეს გარემოება ქმნის ომის საშიშროებას“, რომელსაც, როგორც ცნობილია, მეორე ინტერნაციონალი ებრძვის...

„ბრძოლის ხმის“ აზრით საბჭოთა კავშირის „ხალხის ამოძრავება და დემოკრატიის გამარჯვება იძლევა შესაძლებლობას ომის თავიდან აცილების და მშვიდობიანობის დამყარების მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ გამარჯვება... ხელში არ ჩაუვარდა ბურჟუაზიას“, რომელიც „იძულებული იქნება მიმართოს სამხედრო პოლიტიკას, ძველი იმპერიის აღდგენას, თავისი იმპერიალისტური ზრახვების განხორციელებას“.

„ზავი განმტკიცდება იმდენად, რამდენად დემოკრატიის ფარგლებში მოიპოვებს ძალას და გავლენას მშრომელთა კლასების მუშათა და გლეხთა გავლენა“.

მაგრამ ვინაიდან ეს „მუშათა და გლეხთა გავლენა“, რომელიც ბოლშევიზმის მოძღვრების ქვაკუთხედია, უზრუნველ ყოფილი არ არის და „ბურჟუაზიის“ გამარჯვება შესაძლებელია,

(*) იხ. „ბრძოლის ხმა“ №1 გვ. 2. ომის საფრთხე აღმოსავლეთ ევროპაში. თარგმანი 1929 წ. ივლისში წარდგენილ მემორანდუმისა „სოციალისტურ ინტერნაციონალის ეგზეკუტივს“ და გამოქვეყნებული ინტერნაციონალის საინფორმაციო ბიულეტენში.

საერთაშორისო «ომის და ზავის საკითხი დაკავშირებულია საბჭოთა კავშირის შინაგან მდგომარეობასთან და მის ამა თუ იმ ფორმის ცვლილებასთან"...

მაშასადამე, ბოლშევიზმი, „როგორც მომცემი მეტი გარანტიისა არსებულ საზღვრებისათვის" შედარებით უკეთ უზრუნველჰყოფს საერთაშორისო მშვიდობიანობას ვიდრე ყოველი სხვა წყობილების ფორმა.. ხოლო ჩვენ ვიცით, რომ მეორე ინტერნაციონალი მშვიდობიანობის დაცვას თითქმის თავის უზენაეს მიზნად აღიარებს და რა დასკვნა უნდა გამოიტანოს მან „ბრძოლის ხმის» ზემოხსენებულ კარნახიდან თუ არა ის, რომ ბოლშევიზმი იერიშის მიტანის ღირსი კი არა, პირიქით დაცვის და გამაგრების ღირსია თუ მოსაზღვრე სახელმწიფოებისათვის ეს რეჟიმი უზრუნველმყოფელი პირობაა საბჭოთა კავშირის შინაგან მდგომარეობის „ამა თუ იმ ფორმის ცვლილებასთან" შედარებით...

როგორც ვხედავთ „ბრძოლის ხმა'' რუსეთის შინაგან საკითხებს უდგება იმდენადვე თავისუფლად და იოლად, როგორც ის ფრიად მოკლე ხნის განმავლობაში უდგებოდა საკუთარი ეროვნული კერის შინაგან საკითხებს...

ეს არის სოციალ-დემოკრატიის პრივილეგია, რომ სხვის სახლს ისე უყურებდეს, როგორც საკუთარს. მხოლოდ ვინ მოიგებს ამ წესის მოხმარებით და დაკანონებით ძლიერი თუ სუსტი მხარე? ეს კითხვა მკითხველმა თითონ გადასწყვიტოს. ჩვენ კი დაუბრუნდებით ,,ბრძოლის ხმის" სიმღერის გადმოცემას.

ის არ ისაზღვრება რუსეთის შინაგან საკითხების გადაწყვეტით, არამედ საქართველოს მტერს ხოტბა-ქებასაც შეასხავს და ამბობს: „ნაციონალურ სფეროში საბჭოთა კავშირი სრულიად არ გავს არც ცარისტულ და არც დროებით მთავრობის იმპერიას". მისი შეხედულებით ეს კავშირი დაყოფილია „რამოდენიმე ნაციონალურ (?) და ავტონომიურ რესპუბლიკებათ, საკუთარი ენით, ლიტერატურით, სკოლით, დაწესებულებებით, ერთი სიტყვით ყველა კულტურული ატრიბუტებით. ძველი იმპერიის სრული დერუსოფიკაცია და ნაციონალურ კერათა შექმნა უკვე ფაქტია, მაგრამ ამ იურიდიულად თანასწორ რესპუბლიკათა შორის (1) ეკონომიურად და პოლიტიკურად გაბატონებულია ერთი რესპუბლიკა —რუსის, თუმცა კავშირის მცხოვრებთა ნახევარი არა რუსებია"...

ეს „მაგრამი" და „თუმცა" ზედგამოჭრილია „ბრძოლის ხმის" მსახიობთა ორპირობისათვის. ამის დასანახავად საკმარისია დავაკვირდეთ შემდეგ დებულებას: „ცხადია ეს გზა მიუღებელია", ე.ი. გარეშე ძალების საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეებში ჩარევის გზა. „და რომ ის არც გახდეს შესაძლებელი საჭიროა ნაც. რესპუბლიკები თავის მოკავშირეს ხედავდეს რუსის ხალხში და მასთან ერთად შეებრძოლონ მოსკოვს ხელისუფლებას". (sic)

როგორცა სჩანს, მოსკოვის ხელისუფლების ცნებით აქ რუსეთი უკვეადარ იგულისხმება და, ესიმის მიუხედავად, რომ საბჭოთა კავშირში „ეკონომიურად და პოლიტიკურად გაბატონებულია ერთი რესპუბლიკა რუსის, თუმცა კავშირის მცხოვრებთა ნახევარი არა რუსებია". ეს «უხერხემლო» შანტეკლერების ლოღიკის ნიმუშია, ხოლო მათ სიბინძურეში ამოვლებული და ამ «მემორანდუმის» დამწერი კალამი პრაქტიკულ მიზნების და მუშაობის გეგმის აღწერაზედაც გადადის და მოგვითხრობს: „ჩვენი მიზანია: „ბოლშევიზმის ლიკვიდაცია მოხდეს საბჭოთა ხალხების ძალთა კოორდინაციით, მათი შეკავშირებით და ბრძოლის ველზე (?) გამოსვლით, მშრომელთა დემოკრატიის და ნაციათა თავისუფლების დროშით".

ნეტავი რანაირი თავისუფლება იგულისხმება ამ დებულებაში-რომელი ბრძოლის ველი და საზოგადოთ რა ბრძოლა? —რუსეთი რომ თავის თავს არ ეომება ეს ცხადია. ასეთი ბრძოლის «ველი» მხოლოდ ცირკში მოიპოვება, სადაც მასხარა გამოდის და ჭიდაობაში თავის თავს ამარცხებს. რაც შეეხება ქართველი ერის სადემონსტრაციო და გამანთავისუფლებელ ბრძოლას, მასში „ბრძოლის ხმის" დამწერ „ბელადებს" მხოლოდ სიტყვის ფრქვეველების როლი ჰქონდათ ასრულებული, მომავალში კი შესაძლებელია, რომ მეორე ინტერნაციონალის სულის ჩამდგმელი და „საპატიო გვარდიელი" კარლ კაუცკი, ამ ვაჟბატონებს ჩინებს აღუმატებს და დაავალებს რადიო ტელეგრამების ცეცხლის ხელმძღვანელობას რამოდენიმე ათასი კილომეტრის მანძილზე...

ეს ხომ მარქსისტულ ნეოპლატონიკის პროგრამაში შედის და ტოლსტოველების მოძღვრებასაც ეთანხმება, რომლის „ნეპროტივლენიე ზლუ" დღეს ქართველ შანტეკლერების მთავარ ლოზუნგათ აღმოჩნდა...

„ბრძოლის ხმის" პირველი ნომერი აღტაცებით აღწერს საბჭოთა კავშირს, რომელიც დაყოფილია „რამოდენიმე ნაციონალურ და ავტონომიურ რესპუბლიკებათ საკუთარი ენით, ლიტერატურით, სკოლით, დაწესებულებებით, ერთი სიტყვით ყველა კულტურული ატრიბუტებით" და სხვა, მაგრამ ამ „ხმის» მეორე ნომერი გვიამბობს თვით რუს დიპლომატის ბესედოვსკის შეხედულებას საქართველოს მდგომარეობაზე, რომელსაც ,,ბრძოლის ხმის" წარმომადგენლებისათვის პირდაპირ უთქვამს: „საბჭოთა საქართველოს ავტონომიურ უფლებების ლიკვიდაცია სრულდება ამ ჟამათ უკანასკნელი ზომით საქართველოს მიწადმოქმედების სახ. კომისარიატის გაუქმებით და უნდა ვიფიქროთ რომ ავტონომიისაგან დარჩება მხოლოდ ის, რომ დახვრეტის ხვედრ ქართველთ სამშობლო ენაზე გამოუცხადებენ სასიკვდილო განაჩენს. (*) მიწადმოქმედების კომისარიატი საქართველოში შეიძლება ყველაზე მნიშვნელოვან დაწესებულებათ იყოს აღიარებული, რადგანაც მის განკარგულებაში იმყოფება თითქმის მთელი ეროვნული შემოსავლის წყაროთა პატრონობა; მისი გაუქმება ფორმალურადაც ნიშნავს საქართველოს სრულ ეკონომიურ დაქვემდებარებას მოსკოვის დესპოტიურ ძალმომრეობისაგან და ამ დროს ,,ბრძოლის ხმა'' აღტაცებით აღწერს საკუთარ ენას, ლიტერატურას, სკოლას, დაწესებულებებს და ეროვნულ ,,კერას'' —,,ერთი სიტყვით, ყველა კულტურულ ატრიბუტებით'' შემკულს.

(*) იხ. ბესედოვსკის ნაამბობი (გვ. 3 სვეტი მესამე)

ეს კიდევ ერთი ნიმუშია ,,ბრძოლის ხმის'' ლოღიკისა, ხოლო მისი ზნეობრივი სისაზიზღრობის გასატიტვლებლად ჩვენ აღვნიშნავთ მის ,,პოლიტიკურ ხაზს'', რომლის მიზანი იმაში მდგომარეობს, რომ ბოლშევიზმის ლიკვიდაცია მოხდეს საბჭოთა კავშირის ხალხების ,,ძალთა კოორდინაციით'' და, როგორც სჩანს, ამისათვის: ,,ჩვენი პარტია სდგას საბჭოთა კავშირში ყველა სოციალისტურ პარტიების შეთანხმების ნიადაგზე'', ე.ი. რუსეთის სოციალისტებთანაც, რომელნიც ქართველ თავისუფლების მაძიებელ ერს უყოყმანოთ ფიზიკურ გაწყვეტითაც ემუქრებიან. ბნ ჟორდანიას ზერელეთ დაწერილმა აბდა-უბდა წიგნაკმა სათაურით: ,,ჩვენი" უთანხმოებანი'' (ე.ი. მათი და რუსის ურიებისა.) მდგომარეობას კი არ უშველა, პირიქით გაამწვავა.

მაგრამ რაშია საქმე? რითი აიხსნება ეს ბაიყუშური გეზი? ნუ თუ ,,ბრძოლის ხმის'' მქონე მომღერლებს დაკარგული ხელისუფლების დაბრუნების სურვილიც არ დაურჩათ, რომელიც მათ ასულდგმულებდა ამ უკანასკნელ ხანამდე? ჩვენ არ ვგონებთ ეს ამით აიხსნებოდეს...

ქართველი.

(გაგრძელება შემდეგში.)

გადაგვარების გზაზე.

რუსულად მოლაპარაკე ქართველები ხელს უწყობენ ჩვენს ზნეობრივ დაცემას, რაც ქართველი ერის გადაგვარების დასაწყისია. მამულიშვილის ზნეობრივმა შეგნებამ უნდა აუკრძალოს ქართველს ამ ძაღლის ენაზე ლაპარაკი და ამით ერთხელ და სამუდამოთ მოსპოს ეს საძაგელი რუსოფილური მიდრეკილება.

ყოვლად შეუძლებელია ვინც ამ მახინჯ რუსულ ენაზე საუბრობს, ოდნავი სიმპატია მაინც არ ჰქონდეს ამ ხალხისადმი.

დღესაც ღრმად არიან დარწმუნებული გადაგვარებული ელემენტები ქართული საზოგადოებისა, რომ საერთოდ რუსეთს აქვს რაიმე კულტურული ღირებულება.

ქართველი საზოგადოების გადაგვარების პირველი საბაბი რუსული ლიტერატურა შეიქმნა. ყველაზე უვარგისი მწერლები იყვნენ რუსები და მათი შემოქმედების მთავარი დამახასიათებელი მოტივი ადამიანის სისაძაგლის გამართლებას ემსახურებოდა. ბოლშევიზმის მამა-მთავარი ტოლსტოი, დოსტოევსკი და სხვა „ბოსიაკი" მწერლები, რომელნიც რუსული ლიტერატურის მანათობლები არიან, წარმოადგენენ ბინძურ ავადმყოფებს, რომელიც საზოგადოებას ბოროტმოქმედებას უქადაგებს. ყველა რუსის მწერლები გარყვნილნი და საშინელი ზნედაცემული ავადმყოფები არიან. რუსული ბოლშევიზმის დედა-ძარღვი და მაშასადამე საზოგადოებრივ ცხოვრების ყველაზედ შესაზარი სახეები ამ რუსის მწერლებშია მოცემული. ეროვნულად აღორძინებულმა იტალიამ საჯაროდ დასწვა რუსულ ლიტერატურაზე წიგნები და სამუდამოდ აკრძალა ბოლშევიკური პროპაგანდის პირდაპირი გავრცელება—ეს მწერლობის რუსული ბარყვნილება. სახელმწიფოს აღმზრდელობითი მოვალეობა ამით ხასიათდება.

საქართველოში რუსი იმეფებს მანამდე, სანამ რუსული სული და ენაა გამეფებული. რუსული ენა შეიქმნა ქართველების გადაგვარების პირდაპირი საშუალება. სხვანაირად შეუძლებელი იყო რუსებს გაემეფებინათ საქართველოში თავისი მახინჯი გავლენა და საზოგადოება ბოლშევიზმის ინსტიტუტში აღეზარდათ.

რომელი ქართველიც რუსულად ლაპარაკობს ის პირველი აგენტია რუსული საძაგელი იმპერიალიზმისა. არც ერთმა ქართველმა არ უნდა იცოდეს რუსული ენა, მხოლოდ სპეციალური მიზნით დაინტერესებულ პირს შეძლება ექნება შეისწავლოს ისე, როგორც ეცნობიან აფრიკის, ზანგების ან სხვა ენებს და კილოკავებს. რუსულმა ენამ გაამართლა ბოლშევიზმი და ამ საზიზღარ ენაზე მოლაპარაკე ქართველიც თავის შეუგნებლობით ხელს უწყობს რუსეთის ტირანიას.

საქართველოში გინება სრულიად არ იცოდნენ, დღესაც დასავლეთ საქართველოში სასიკვდილოა თუ ვინმე შეიგინება—და ეს გინება წმინდა რუსულია, რუსების ლოცვა გინებაა სხვა კი არაფერი. სიმართლეს რომ ვაღიარებთ ჩვენ არავისი გვერიდება. საჭიროა სამშობლო ენის მოღალატეთა სამარცხვინო ბოძზე გაკვრა.

რუსებს კულტურის ნასახიც კი არა აქვთ დღემდე და ვერც შეჰქმნის რაიმე ღირებულებას. თვით მათი ბუნება მონღოლური ხელს უწყობს ისევე ბარბაროსები და პრიმიტიულები დარჩნენ, როგორც შუაგულ აფრიკაში მცხოვრები შავკანიანები არიან. რუსის ტურტლიან მუჟიკს მეტი მოთხოვნილებაც არა აქვს.

ლაპარაკი რუსების ხელოვნებაზე იმასვე ნიშნავს, რომ „მუჟიკს" პოეზიაზე ესაუბრო. რუსული მუსიკა არ არსებობს. რუმინეთის მოხეტიალე ბოჰემიის ხალხმა შეიტანა ამ სტეპების ქვეყანაში სიმღერების სადა ნიმუშები. ევროპიულ მუსიკამ, როგორც იტალიურ-ესპანიურმა, კეთილშობილება ასწავლა რუსის მოწინავე ფენებს, მაგრამ ისევე შეუფერებელი აღმოჩნდა, როგორც ღორს რომ ფრაკი ჩააცვა. რუსისათვის მუსიკა საწამლავია.

რუსული ენა მხოლოდ სამხედრო სასწავლებელში უნდა იცოდნენ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს ჩვენ მათ საძაგელ ენაზე ავმღერდეთ. რუსული ენა მხოლოდ ლანძღვა გინებისათვისაა. არ არის მართალი ის აზრი თითქოს აუცილებლივ საჭიროა მთელი რუსული მწერლობა იცოდე, რომ შეგეძლოს საბუთიანად უარჰყო. განა აუცილებელია ტალახში ჩაწვეთ რომ გაიგოთ რა არის ჭუჭყი! საკმარისია ფეხები გაისვაროთ და მაშინვე მოერიდებით ამ სიბინძურეს. ასევეა რუსული მწერლობაც: ერთი ავტორის წაკითხვით უკვე იგრძნობთ მთელ სისაზიზღრეს რუსული სულისას. და... ვისაც მოსწონს გარყვნილი ცხოვრების ვაკხანალია ის რუსულ სკოლას მიმართავს ხოლმე. საერთოდ სოციალისტებმა და კერძოდ დემოკრატიულ იდეებმა იმდენად დასცეს ქართველი ხალხის შეგნება, რომ დღეს ამგვარ მოვლენებზე გვიხდება ლაპარაკი

რუსებს არასდროს არ სწამდათ ღმერთი. ჩვენი და მათი ერთმორწმუნეობის აღიარება წარმოუდგენელი შეცდომაა და სარწმუნოებიდან განდგომა. სოციალისტებმა გამოიყენეს ეს მოვლენა სადემაგოგიოთ და ამით საქართველოში ზნეობრივ დაცემას ხელი შეუწყვეს, რათგან იცოდნენ, რომ რუსების მღვდლები წუწკები და ეკლესიის წაბილწველნი არიან, ამიტომ გამოიყენეს ეს მოვლენა, როგორც რელიგიის საწინააღმდეგო საშუალება და ქართული საუკუნოვანი ტანჯვის და სისპეტაკის მოციქული ეკლესიები დაცინვის საგნათ აქციეს.

რუსების გალობა და სიმღერები სავსეა მკვლელობის მოტივებით, გაუპატიურების ნიმუშებით და საერთოდ ყოველგვარი სისაზიზღრის ამღერებით.

ხოლო, მთავარი მიზეზი ქართველების გადაშენებისა მდგომარეობს სისხლის შერევაში. ამ ენამ შეაუღლა რუსი და ქართველი. ჩვენი გადაგვარება აქედან იწყება. ქართულ ოჯახში რუსის ქალი შემოიჭრა: ცოლად, დედათ გაგვიხდა. ქართველების გადაშენება უცხო სისხლის შერევიდან ხდება. ერი იმდენად მძლავრია, რამდენადაც მისი რასიული თვისება სისხლით წმინდაა, შეურეველია. აჭრელებული ერი დაღუპულია, გადაგვარებული, ის ხალხად ქცეულია. ერის შემოქმედება მის რასიულ თვისებაზეა დამოკიდებული. რამდენად ერის მოდგმა წმინდაა, შეურეველი, იმდენად მის კულტურის განვითარებას თავისი საკუთარი დასაწყისი აქვს და უცხო გავლენა მასზე არ მოქმედებს, და თუ ხდება უნებლიე ზედგავლენა ის ყოველთვის უარყოფითია რადგან რასაც კულტურას უწოდებენ ის რასიულად დაწმენდილი ერის შემოქმედებაა და სხვა ამ გაგების გარეშე რჩება.

კულტურის დაცემა ერის შემადგენელ ადამიანთა სისხლის აღრევით იწყება. ერი ჰკარგავს თავის პირვანდელ სახეს და საშინლად აჭრელებული განვლილ ისტორიას ვეღარა სცნობს, ის მისთვის უცხო რჩება. ჩვენ თუ ვიტყვით: ჩვენს ძარღვებში წინაპართ სისხლი მდინარებსო— უაღრესი მეცნიერული შინაარსი აქვს და ემორჩილება მოდგმათა სასტიკ კანონებს.

ეთნოგრაფიულად ქართველი ერი შერეულია. მაგალითად დასავლეთ საქართველოში უმეტესობა დოლიხოკეფალის თავის ქალას მოყვანილობა აქვს; წინააღმდეგ, აღმოსავლეთის ქართველები ბრახიკეფალები არიან. საიდან მოხდა ასეთი მკაფიოდ განმასხვავებელი მოვლენა ქართველთა ტომებში ძნელი ასახსნელი არ არის. დასავლეთი საქართველო უძველეს საუკუნეებში ევროპიულ კოლონიებით და შემოსევებით განიცდიდა გავლენას, ხდებოდა სისხლის შერევა. ამიტომაც არის რომ დასავლეთის ქართველებში უფრო ხშირად ქერა ხალხია, როდესაც აღმოსავლეთის ქართველები შავგვრემანები არიან. შედარებით ქართველები რასიულად უფრო შენახულია ვიდრე სხვა რომელიმე ხალხი.

ბევრმა შემოსევებმა, ხალხთა ჯოგებმა, ჩვენი მოდგმათა სიწმინდე შელახეს და თავისი სისხლი შეურიეს. ხოლო, ხალხთა შორის დიდი განსხვავებაა. არიან ისეთი ხალხთა ტომები, რომელთაც ისხლი შერეული, ინდო-ევროპიულ მოდგმათა, უკეთეს შედეგებს აძლევს, მაგ. თეთრი რასის და შავკანიანის შერევით მივიღებთ მულატს, რომელიც ლამაზია ხოლმე უმეტეს შემთხვევაში. ხოლო, თვით მულატები უნაყოფონი არიან.

მეცნიერებას რასიული საკითხი საკმარისად დამუშავებული აქვს და ჩვენ შეგვიძლია დასკვნები გამოვიყვანოთ სწორი.

ყველაზედ უშნო ჯიშის შავი რასაა და შემდეგ ყვითელი რასა: ამ რასას ეკუთვნიან მონღოლები ანუ რუსები. ევროპაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

რუსებს თეთრ ჩინელებს უწოდებენ. ეს რასა, ჩინგის ხანის დაბათო ნრეინის ურდო, სადიზმის და იდიოტიზმის საბუდარია. ყველაზედ ბინძური მოდგმაა, მეტად უშნო და საძაგელი. შავკანიანს, რუსთან შედარებით, შეუძლია შეითვისოს ყოველი დარგი ცივილიზაციისა, როგორც თეთრმა, მაგრამ მონღოლის მოდგმის რუსს კი ვერა. რუსებს ერთი თვისება აქვთ: მრავლდებიან როგორც ღორები. კეთილშობილი მოდგმა აგრე რიგად არა მრავლდება. თურქები, ისევე როგორც რუსები, მონღოლის მოდგმისანი არიან. საქართველო თურქების შემოსევის ხანაში მათი მოხარკე შეიქმნა. ხარკს სახით თურქების ფაშებს ქართველი ქალები მიჰყავდათ ხოლმე ჰარემხანაში. სპარსეთის შაჰები ასევე იქცეოდნენ და რაც ულამაზესი ქართველი ქალები იყო ძალით იტაცებდნენ ჰარემის გასალამაზებლად. ის ჰარემი არ ითვლებოდა მდიდრათ თუ შიგ ქართველი ან ჩერქეზის ქალი არ ერია.

ხნეობრივი გავლენა ერის შთამომავლობის ბუნებას ეხება. სპარსელების შემოსევის ხანაში დიდი ტრადიციული ცვლილება მოხდა ქართულ ოჯახებში. ხშირად მრავალ ცოლიანობას ჰქონდა ადგილი და სოდომ და გომორი გავრცელებული იყო მაღალ წრეებში, რომელიც წმინდა სპარსულ-თურქულია.

ძველი კოლხიდა განთქმული იყო ქართველ ქალთა სილამაზით. მუსულმანების პოლიგამია საკუთარ ჰარემით აღარ კმაყოფილდებოდა და ქალების სილამაზეს ყიდულობდა. მრავალი ქართველი ტყვე ქალები იყიდებოდა მსოფლიო ბაზარზედ.

სპარსელები და თურქები გალამაზდნენ ქართველთა სისხლით. თუ მათში არის რაიმე ეშხი ხორციელი სილამაზისა ეს საქართველოდან გაძარცული მშვენიერების ნაშთია. მაგრამ დიდ ხანს არ რჩება სისხლის კვალი იმ ხალხში, რომელიც ბუნების მიერ კანონიერად დასჯილია იყოს მახინჯი და მიუკარებელი. ქართველი მოდგმა ისევე დაიბრუნებს თავის მშვენებას თუ მას რუსის ბინძური სისხლი არ გაერია. უნდა აკრძალული იყოს რუსის და ქართველის შეუღლება. ქართველთა ჯიში ულამაზესი მოდგმაა ხალხთა შორის. მაშასადამე, რა რასიული ელემენტიც არ უნდა შეერიოს ყოველთვის შედეგად იქნება უარყოფითი ნაყოფი და დეგენერაციის გაზრდა. აღსანიშნავია მთელი მეცხრამეტე საუკუნე და მეოცე ს. მეოთხედი, რუსების ბატონობის ხანა, რომელმაც შეარყია საშინელი ზნეობრივი გავლენით ქართული ოჯახის საძირკველი.

სად არის ძველი ჰელადა! სადღა არიან ის კლასიკური მშვენებანი ბერძენთა? რა მოხდა ისეთი, რომ ეს ერი მთლად გაქრა, გადაშენდა? ბერძნებს შეერია სლავიანთა სისხლი. სლავები კი დაბალი ღირსების ინდო-ევროპიული რასაა, რომელმაც გარდაქმნა ბერძნები სრულიად. მხოლოდ საბერძნეთის პატარა კუნძულებზედა შერჩნენ საიშვიათო ბერძნის ტიპები. ესენი მებადურენი არიან, რომლის გამოკვეთილი შუბლი და ბერძნული ცხვირი კვლავ ატყვევებს ადამიანს. ბერძნებმა კი, როგორც უკვე ერთხელ აღვნიშნეთ, თავის სილამაზის განხორციელებისათვის ქართველების და მის ტომ ჩერქეზების სასხლი გაირიეს. თუ რა ღვთაებრივ მშვენიერებას მიახწია ბერძენთა ერმა საკმარისია აპოლონ ბელვედერი და მილოს ვენერა იხილოთ, რომ სიტყვის ნიჭიერება დაჰკარგოს ადამიანმა. მაშასადამე, თუ ბერძნები ასეთი ლამაზი რასა დამუშავდა, წარმოგვიდგენია რა უნდა ყოფილიყო ქართველების სილამაზე? ჩვენ გვრწამს თვით ღმერთს შეედრებოდა და თვით მეფე იყო ადამიანთა. ყველაფერი ქართველებისაგან დაიწყო და მსოფლიო ცივილიზაციასაც მათ ჩაუყარეს პირველი საფუძველი. ნუ თუ ეს ერი, რჩეული თვით ღმერთის მიერ, უნდა გადაგვარდეს და სამუდამოთ გადაშენდეს?!

ბეჟან გიორგაძე.

მიმართვა.(*)

ბ—ნს ნ. ფორდანია და ბ—ნს რამიშვილს!

მე არ ვეკუთვნი არც ერთ პოლიტიკურ პარტიას და არც ვირიცხები სხვა რომელიმე კავშირის წევრად, ამიტომ ყოველ ჩემს სიტყვაზედ რომელსაც მოგმართავთ პასუხის მგებელი მარტო მე ვარ.

ეს მიმართვა შეეხება ჩემს სამშობლოში თქვენი სამი წლის ბატონობას. მე ვამბობ „ჩემს“ და არა „ჩვენს“, იმიტომ რომ როგორც გიბრძანებთ თქვენი ინტერნაციონალი თქვენ არ უნდა გწამდეთ არც სამშობლო და არც ერი. ეს მომართვა გამოწვეულია უკანასკნელ 6 წლის განმავლობაში საქართველოს ტანჯვა წამებით, რომელიც თქვენ აიძულეთ და გახადეთ მსხვერპლად თქვენი იმორალური კარლ მარქსის რეცეპტებით და ანტი სახელმწიფოებრივ ექსპერიმენტებით.

შესაძლებელია ყოველივე ეს სიჩუმით ჩემს გულში ჩამეკლა, როგორც დღემდე, მისთვის რომ მე მოკლებული ვარ ყოველგვარ საშუალებას ვაწარმოო ბრძოლა როგორც თქვენთან, ისე თქვენ მოძმე ბოლშევიკებთან. მაგრამ თქვენი წერილების შინაარსმა გამოქვეყნებულ ბოლშევიკების პრესაში ამივსეს მოთმინების ფიალა. მაშ გაიგეთ ხმა ქართველისა რომელიც ახდილათ გეუბნებათ: თქვენი წარსული ნამოქმედარი დამღუპველი იყო, აწმყო დანაშაულებითაა სავსე და მომავალი კი თქვენი არ არის. გავარკვიოთ ეს სამივე ხანა: 1. თქვენი წარსული, ერთგული სამსახურია მეორე ინტერნაციონალისადმი და მით ქართველი ხალხის მოტყუება. თქვენ გადიოდით რუსეთის სახელ. სათათბიროში როგორც ქართველი ერის წარმომადგენელნი, მაგრამ მას პირველსავე ნაბიჯზედ ღალატობდით. თქვენ არაფრისა არ გრცხვენოდათ და არავითარ საშუალებას არ ერიდებოდით ოღონდ მეორე ინტერნაციონალისათვის ერთგული სამსახური გაგეწიათ. ყოველ სახელ. სათათბიროში თქვენ გადიოდით სომხების ხნის საშუალებით. უკანასკნელნი სწორეთ გრძნობდნენ, რომ თქვენ მონები იყავით მეორე ინტარნაციონალისა და არასდროს ქართველი ერის ინტერესების დამცველად არ გამოსულხართ და მითვე ხელს უწყობდით სომხების ბატონობას საქართველოში და ასეც იყო. თქვენ და სომხების ერთი კლასი ქარველი ერის საწამებლად დაძმობილდით და მით ქართველ ერს მოესპო ეროვნული დამცველი საშუალება. გნებავთ მაგალითები? ინებეთ: როდესაც 1916 წელს ბათომში გათავდა აჯარლების პროცესი, მე წაველი ფასანაურში დასასვენებლად. იქ ჩემთან მოვიდნენ დუშეთის გლეხობა თხოვნით გამეწია მათთვის სამსახური. ახლად დანიშნულმა მეტყველემ აუკრძალა გლეხებს ფიჩხის აკრეფა არამცთუ უფულოდ ფულითაც კი. ამ რიგად გლეხები დარჩნენ უშეშოთ და, როგორც თავათ სჩიოდნენ, სჭამდნენ. არ.ა პურს, არამედ ცომს. მე მაშინვე მივმართე ჩვენს სათათბიროს რჩეულს კარლო ჩხეიძეს გლეხთა დახმარებისათვის. რიგი ჩემი წერილებისა დარჩა უპასუხოდ. კარლო ჩხეიძეს საქართველოსათვის ხომ არ ეცალა, რადგან რუსეთის სოც.დემოკ. ტაქტიკაში და პროგრამაში ერის სამსახური არ შედიოდა. გარდა ამისა მათ წინაშე ამართული იყო საწინააღმდეგო თვით მეორე ინტერნაციონალისა. მალე კიდევ მოვიდნენ ჩემთან გარშემო სოფლის გლეხობა საჩივრით სამხედრო გზის აგენტებისადმი, რომ მათ ერეკებიან უთავბოლოდ გზაში სამუშაოდ და ატყუებენ ანგარიშის გასწორების დროს. ვსინჯე კვლავ მიმემართა ამ საქმეზედაც კარლო ჩხეიძისათვის, მაგრამ აქაც მოვსტყუვდი. იძულებული გავხდი შემეწყვიტა ჩემი დასვენებითი შეღავათი და წავსულიყავ პეტერბურგში, რომ დავხმარებოდი გლეხობას. მეტყვევ და უფროსი გზის აგენტთაგანი იქმნენ გადაყენებულნი. ქალაქი დუშეთი დიდხანს სცდილობდა რომ დაეარსებია უმაღლესი სამოქალაქო სკოლა. რუსეთის მთავრობა ნებას არ აძლევდა. როდესაც ყოველგვარი საშუალება იქმნა ამოწურული ამ საქმეზე, იძულებული გავხდი პირადათ მივსულიყავი კარლო ჩხეიძესთან, უკანასკნელმა კატეგორიული უარი მითხრა ამ საქმის წამოყენებისათვის. რატომ? გეკითხებით თქვენ! იმიტომ რომ თქვენ, სოციალ დემოკრატები, მოწოდებულნი ხართ მხოლოდ დაანგრიოთ და არასდროს არაფერი ააშენოთ. ასე და ამ რიგად მთელი წლები სახელმწიფოს სათათბიროს არსებობისა, ქართველი ერი ძოკლებული იყო საკუთარ ინტერესების დაცვას.

აი დაეცა რუსეთი და მის იმპერიაში დამონებულმა ერებმა წამოყვეს თავები და მათ თვალ წინ დადგა ნათლად მომავალი დამოუკიდებელი არსებობა. ფინეთი, პოლონეთი, უკრაინა, ლიტვა, ლატვია, ესტონეთი ეზიარნენ თავისუფლებას და იწყეს დამოუკიდებელი არსებობა. რა თქმა უნდა რუსეთის რესპუბლიკის მთავრობას ეს არ მოეწონა. და ვინ ებრძოდა აქტიურათ ამ დამონავებული ხალხების ეროვნულ მოძრაობას? თქვენივე ამხანაგი ირ. წერეთელი. მოიგონეთ მისი ნამოქმედარი უკრაინაში. რენოდელმა მერაბაშვილის პროცესზე წარმოსთქვა, რომ: „ქართველ მენშევიკებს უნდოდათ ფედერაცია რუსეთის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან“ო. თქვენ მასაც მოატყუეთ. ნებას არ აძლევდით ქართველებს ეოცნებათ ავტონომიაზედაც კი. თქვენი დამანგრეველი მუშაობისათვის საქართველო მეტად პატარა იყო.

დიმიტრი ჭიაბრიშვილი.

(გაგრძელება შემდეგში)

ეროვნულ—უფლებრივი ანუ თეთრი გიორგული სახელმწიფო.

ერთ თვეში თეთრი გიორგი გამოუშვებს წიგნაკს, რომელშიც ეს საკითხი ვრცლად იქნება გარჩეული. აქ კი მას მოკლედ ვეხები.

ეროვნული სახელმწიფო დემოკრატიულ სახელმწიფოდან უმთავრესად შემდეგ დებულებებში სხვავდება: 1) დემოკრატიზმი ინდივიდუალისტურ პრინციპზეა დამყარებული, რაც 1789 წ. დებულებებმა სავსებით ჩამოაყალიბეს. დემოკრატიზმისათვის უპირველესად ინდივიდის უფლებები და მისი ინტერესები არსებობენ. ეროვნული სახელმწიფო კი უპირატესობას კოლექტივს ე.ი. ერს აძლევს. ის ინდივიდის უფლებებზედ მაღლა აყენებს; ინდივიდის მოვალეობას ინდივიდუალურ ინტერესებზედ მაღლა ერის საერთო ინტერესებს. დემოკრატიზმისათვის ეროვნულ ინტერესს მხოლოდ ინდივიდუალურ ინტერესთა ჯამი შეადგენს. (*)

ეროვნულ სახელმწიფოსათვის კი ერის ინტერესი შემდეგია: ინდივიდთა ინტერესების ჯამი + ზრუნვა მომავალზედ და ერზედ, როგორც კოლექტიურ ერთეულზედ. აი, ესაა ის, რასაც ეწოდება ერის საერთო ინტერესი.

(*) დემოკრატიულ წყობილებაში ეს ჯამიც სავსებით გამოურკვეველია, მისი ანარქიულ საყოველთაო არჩევნების წყალობით. იხ. გაზ. თ. გ. №24, „რეალური წარმომადგენლობა“.

საზოგადოება, ერი მხოლოდ მისი დღევანდელ არსებობით და მის წევრთა დღევანდელ რიცხვით არ განიზომება. [illegible] კუნედან საუკუნემდე გაბმული განუწყვეტელი ჯაჭვია. საზოგადოების წევრნი იხოცებიან, მაგრამ მათ [illegible] ლები. ამიტომ ზრუნვა მომავალზედ აუცილებელი მოვალეობაა ერის ყველა წევრთა, ერის შემადგენელ ყველა სოციალურ გადაჯგუფებათათვის. და ეს მოვალეობა უნდა დაკანონებული იყოს ისევე, როგორც დაკანონებულია სახელმწიფოებრივ კანონმდებლობით ინდივიდის მოვალეობა სახელმწიფოს წინაშე. ეროვნულ უფლებრივი სახელმწიფო სწორეთ ერის ამ საერთო ინტერესს ისახავს თავის უმთავრესს მიზნად და აწესრიგებს მისთვის შემოქმედებას, ღვაწლს. ის ნათლად სახავს მომავლის პრობლემებს და საზოგადოების ენერგიას მათ გადასაწყვეტად სჭიმავს.

2) დემოკრატიულ წყობილებამი და სწორეთ დემოკრატიზმის ნიადაგზედ წარმოიშვა ძალები, რომელნიც სავსებით ყალბ ინტერნაციონალიზმის გზაზედ დადგნენ. მათ განსაზღრულ კლასთა ინტერესები ერის გარეშე წარმოიდგინეს. ეს ძალები იმნაირ ინტერნაციონალიზმის გზას დაადგნენ, რომელიც თავისი შინაარსით სავსებით ეწინააღმდეგება ერის განვითარებას და არსებობასაც კი. ეს ანტი-ეროვნული ძალები მეორე და მესამე ინტერნაციონალები, ფრანკ-მასონთა ორგანიზაციები და მათ მსგავსნი არიან. ამნაირი ინტერნაციონალიზმი დემოკრატიზმის პრინციპების ბუნებრივი შედეგია. ეროვნულ სახელმწიფოს დებულება დიამეტრალურად საწინააღმდეგოა. ეროვნული იდეოლოგია ამტკიცებს, რომ ერის გარეშე არ არსებობს, არც ცივილიზაცია, არც კულტურა, არც რაიმე ნივთიერ-გონებრივი ინტერესი ინდივიდისა თუ კლასისა. ყოველივეს ჰქმნის და შეიცავს ერი. კულტუროსან და ნივთიერად მდიდარ ერის წევრნი კულტუროსანი და ნივთიერად უზრუნველ ყოფილნი არიან. ხოლო, დაბალ კულტურის და ღარიბი ერის შვილნი ყოველგვარ სიღარიბეს განიცდიან. ამ სოციალურ კანონს არავითარი გამონაკლისი არა აქვს და არცა ჰქონია ისტორიაში.

3) დემოკრატიული წყობილება ემყარება განსაზღვრულ პოლიტ. თეორიებს, შექმნილთ ფსევდო-მეცნიერთა კაბინეტებში და ლამობს ეს თეორიები, განურჩევლად დროისა, გარემოებისა და ერთა ინდივიდუალურ თვისებათა, ყოველთვის და ყველგან განახორციელოს. ეროვნული იდეოლოგია კი ანგარიშს უწევს ყოველ ერის განსაკუთრებულ პირობებს, სიხამდვილეს, ინდივიდუალურ თვისებებს და სახელმწიფოებრივ კანონმდებლობას მათ უგუებს. ეროვნული სახელმწიფო საქართველო ი იქნება ქართული, ინგლისში ინგლისური და ბელუჯისტანში ბელუჯისტანური სახის.

4) დემოკრატიული სახელმწიფო სავსებით უძლური გამოდგა შრომის საკითხის წინაშე, რაც დღევანდელ ცხოვრების უდიდესი საკითხია. ეროვნული სახელმწიფო კი ამ საკითხს კორპორატიულ სისტემის და შრომის სამინისტროს საშუალებით სწყვეტავს. დემოკრატიული ეკონომიკა კაპიტალისტის ბატონობაა. ეროვნული სახელმწიფო კი მუშას და მრეწველს სამართლიანობაზედ დამყარებულ თანასწორობის ნიადაგზე აყენებს. დემოკ. სახელმწიფო კლასთა ბრძოლის ნამდვილ ბუდეთ გადაიქცა. ეროვნულმა სახელმწიფომ კი კლასთა სოლიდარობის პრინციპი წამოაყენა და კიდეც განახორციელა.

5) დემოკრატიულ სახელმწიფოს არავითარი ზნეობრივი ნიადაგი არ გააჩნია. მისთვის ეთიკა არ არსებობს. ის სავსებით ანტი ქრისტიანულია და მის წიაღში ინგრევა საზოგადოების კულტურის უჯრედი: ოჯახი. ეროვნული სახელმწიფო კი თავის ფუძეთ სახავს: ა) სარწმუნოებას, როგორც ცივილიზაციის უმთავრეს საფუძველს. ისტორიამ არ იცის არც ერთი ცივილიზაცია, კულტურა, რომელიც რაიმე სარწმუნოებაზე არ ყოფილიყოს დამყარებული. ბ) ოჯახზედ, ვინაიდან ერი და სახელმწიფოც ოჯახის ისტორიულ ევოლიუციის შედეგნი არიან და მისი დანგრევით ერთიც და მეორეც დაინგრევა. გარდა ამისა ეროვნულ აღზრდის და დისციპლინის უმთავრესი ფაქტორი ოჯახია.

გ) ტრადიციებს, ვინაიდან ტრადიციები ოჯახთან ერთად ისტორიის და წინაპართა სულიერ-ზნეობრივ-კულტურული გაგრძელებაა. ხოლო, ერი რომელიც ივიწყებს საკუთარ ისტორიას ბარბაროსდება. დ) ეროვნული სახელმწიფო ემყარება აგრეთვე წინაპართა კულტს, რათგან წინაპართა თავდადებისადმი, მათ აღმაშენებლობრივ ღვაწლისადმი პატივისცემა და მათი მაგალითებათ აღება პროგრესის და ძლიერებისათვის ბრძოლაში უდიდესი იმპულსია. გამოაკელით ერს სარწმუნოება, ოჯახი, ტრადიცია და ისტორია და ის ფატალურად გარდაიქცევა კოლექტიურ შეგნებას მოკლებულ ბრბოთ და გახდება მსხვერპლად ყოველგვარ დამანგრეველ მცნებათა, როგორიცაა სოციალიზმი, მარქსის კომუნიზმი, ანარქიზმი და სხვა. ერთი სიტყვით დაუბრუნდება ბარბაროსულ მდგომარეობას. ზემოთ აღნიშნულ საფუძვლებს, რომელთ ეროვნული სახელმწიფო ემყარება, დემოკრატიზმი სავსებით მოკლებულია.

ე) ეროვნულ სახელმწიფოს და დემოკრატიულ სახელმწიფოთა პოლიტიკურ სხეულთა შორისაც დიდი განსხვავებაა. მაგრამ აქ მისი განხილვა საუბარს გაგვიგრძელებდა და სჯობია შემდეგისათვის გადავდოთ.

ლ. კ.

Le Gérant: FÉLIX KHALDENBACH

Imp. METTHEZ FRERES. MONTBÉLIARD-HÉRIMONCOURT